ჩვენგან არ არის ის, ვინც ჩიტების ფრენით იმკითხავა ან ის ვისაც უმკითხავეს (ჩიტების აფრენით), ვინც იმკითხავა ან ვისაც უმკითხავეს, ვინც ჯადო გააკეთა ან მივიდა ჯადოქართან

'იმრან იბნ ჰუსაინი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ჩვენგან არ არის ის, ვინც ჩიტების ფრენით იმკითხავა ან ის ვისაც უმკითხავეს (ჩიტების აფრენით), ვინც იმკითხავა ან ვისაც უმკითხავეს, ვინც ჯადო გააკეთა ან მივიდა ჯადოქართან, ვინც მივიდა მკითხავთან და დაიჯერა ის, რასაც ის ამბობს, მან უარყო ის, რაც გარდმოევლინა მუჰამმადს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას)».

[კარგი (ჰასან)] [გადმოსცა ალ-ბაზზაარმა]

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) დაემუქრა მას მისი უმეთთით და იმას, ვინც მაღლა ჩამოთვლილ ქმედებას ჩაიდენდა და თქვა: "არ არის ჩვენგანი". ეს ქმედებებია: პირველი: ვინც ჩიტების ფრენით მკითხაობს ან მისთვის მკითხაობენ მათით", ამ მკითხაობის არსი შემდეგში მდგომარეობს: ფრინველის გაშვება რაიმე საქმის დაწყებამდე, იქნება ეს მოგზაურობა, ვაჭრობა თუ სხვა რამ. თუ ფრინველი მარჯვნივ გაფრინდება, ადამიანი ამას მიიჩნევს კეთილ ნიშნად და განაგრძობს განზრახულ საქმეს, ხოლო თუ მარცხნივ — ცუდ ნიშნად და თავის განზრახვაზე უარს იტყვის. დაუშვებელია ამის გაკეთება საკუთარი ინიციატივით ან სხვას დაავალო. ამაში შედის ცრურწმენა ნებისმიერი საგნის მიმართ, იქნება ეს გაგონილი თუ დანახული, ფრინველები, ცხოველები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები, რიცხვები, დღეები თუ სხვა რამე. მეორე: "ვინც იმკითხავა ან მას უმკითხავეს", ეს ეხება მათ, ვინც ამტკიცებს, რომ მომავალზე ინფორმაცია აქვს, იყენებს რა ვარსკვლავების განლაგებას ან სხვა მეთოდებს. ასევე, ეს ეხება ადამიანებს, რომლებიც მიმართავენ მათ, ვინც ამტკიცებს, რომ მომავალზე ინფორმაცია აქვს, როგორიც არიან მარჩიელები და სხვები. ისინი, ვისაც სჯერათ მათი განცხადებების მომავალზე ცოდნის შესახებ, ამით გამოხატავენ ურწმუნოებას იმაში, რაც მოევლინა მოციქულ მუჰამმადზე (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას). მესამე: "ვინც ჯადო გააკეთა ან გააკეთებინა" ეს არის ვინც თვითონ აკეთებს ჯადოს, ან დაავალა სხვას მისთვის ჯადოს გაკეთება; მისით სხვისთვის ზარალის ან სარგებლის მოსატანად, ან განასკვა ნასკვი თოკის გადაკოჭვით და გააკეთა მასზე ჯადო, აკრძალული საკითხავების წაკითხვით და შემდეგ მასზე სულის შებერვით.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/5981